განმცხადებელი: სს ,,სადაზღვევო კომპანია უნისონი" ს/კ 404393152
თარიღი: 21-10-2020

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1; პრინციპი 11

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები:

ტელეკომპანია მთავარის ეთერი, 21.10.2020. წ. 10 საათიანი მთავარის ეთერში გავიდა სიუჟეტი **"უნისონმა" 30 მილიონის ტენდერი მოიგო და "ქართულ ოცნებას" 327 ათასი შესწირა"** ასევე გამოქვეყნებულია მთავარის ვებ გვერდზე: www.mtavari.tv სიუჟეტი იგივე სათაურით, ასევე მთავარი არხი აქვეყნებს არასამთავრობო ორგანიზაცია ფლანგვის დეტექტორის კვლევას და სიუჟეტში კვლევის თაობაზე საუბრობს მკვლევარი დავით მჟავანაძე.

სადავო მასალა **:** https://mtavari.tv/news/19842-unisonma-30-milionis-tenderi-moigo-kartul
https://www.myvideo.ge/tv/mtavari/2020-10-21/10:12:15

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება :

პრინციპი 1: ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.

სიუჟეტში მთავარი არხის წამყვანი მიუთითებს: *,,ტენდერში გამარჯვება მმართველი პარტიის დაფინანსების სანაცვლოდ", „სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმიანობა და მოგებული ტენდერები ფლანგვის დეტექტორმა შეისწავლა, 186 ტენდერიდან 68-ში უნისონი უკონკურენტო იყო, მთლიანობაში კომპანიის დამფუძნებელს ილია კეჭაყმაძეს და მის უნისონს 30 მილიონი ლარის ტენდერი აქვს მოგებული, სანაცვლოდ კი კეჭაყმაძემ ქართულ ოცნებას 327 000 ლარი შესწირა. მმართველი პარტიის ყულაბაში 60 000 ლარი გადარიცხა ილია კეჭაყმაძის მეუღლემ მარინა დოლიძე კეჭაყმაძემ. დოლიძის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილს უკავშირდება კანონიერი ქურდის რომან ბარბაქაძის იგივე "რემენას" აეროპორტიდან გაპარება. მარინა დოლიძე -კეჭაყმაძე ოზურგეთის ყოფილი საკრებულოს თავჯდომარის გელა კობალაძის საქმეშიც ფიგურირებს, რომელიც ქრთამის აღების ფაქტზე 2017 წელს დააკავეს".* რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით.

მთავარის ვებ.გვერდზე სიუჟეტის ქვემოთ ასევე დამატებით მითითებულია: ,,ფლანგვის დეტექტორის" ინფორმაციით, ილია კეჭაყმაძე კალაძის "კალა კაპიტალის" დირექტორიცაა და მისი "უინისონი" საკონცერტო დარბაზ „ბლექსი არენა ჯორჯიასაც" აზღვევს. ჟურნალისტი დადასტურებულად საუბრობს ფაქტებზე რომლის გადამოწმებაც არ უცდია სადაზღვევო კომპანია უნისონთან, „მთავარმა" განზრახ გაავრცელა გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამება სიმართლეს. კერძოდ:

1. ტენდერში გამარჯვება მმართველი პარტიის დაფინანსების სანაცვლოდ- სს ,,სადაზღვევო კომპანია უნისონს" ქართული ოცნებისთვის თანხა არასდროს შეუწირავს, ზემოაღნიშნული ინფორმაცია საჯაროა და ადვილად გადამოწმებადი, შესაბამისად მთავარმა განზრახ შეიყვანა მაყურებელი შეცდომაში.
2. ილია კეჭაყმაძე არ არის სს ,,სადაზღვევო კომპანია უნისონის" დამფუძნებელი, დამფუძნებელია სს ,,პრივატი", რაც ასევე მარტივად გადამოწმებადია საჯარო რეესტრის

საიტზე, ხოლო თავად ილია კეჭაყმაძე წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. რაც შეეხება ბორდს ანუ დირექტორატს და მმართველ პირებს გახლავთ გენერალური დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი, ფინანსური დირექტორი და რისკების დირექტორი, რომლებიც მართავენ კომპანიას და წარმოადგენენ მას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

3. 186 ტენდერიდან 68-ში უნისონი უკონკურენტო იყო, მთლიანობაში კომპანიის დამფუძნებელს ილია კეჭაყმაძეს და მის უნისონს 30 მილიონი ლარის ტენდერი აქვს მოგებული-ფლანგვის დეტექტორის მიერ გამოქვეყნებული 186 ტენდერის ჯამი შეადგენს 30015861 ლარს, საიდანაც როგორც ,,მთავარი არხი" ამბობს უნისონმა მოიგო 68 ტენდერი უკონკურენტოდ, ესეიგი ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმაზე რომ უკონკურენტოდ მოგების შემთხვევაში ადგილი აქვს შემსყიდველისა და მიმწოდებლის ირიბ შეთანხმებას, შესაბამისად ბრალდება წაყენებულია არა მხოლოდ უნისონის წინააღმდეგ არამედ ასევე იმ 68 შემსყიდველის წინააღმდეგ რომელთაც გამოაცხადეს ტენდერი, რომელიც საჯაროა და რომელშიც მონაწილება ნებისმიერ მსურველს შეუძლია და რომელშიც მიიღო მონაწილება სს ,,სადაზღვევო კომპანია უნისონმაც". უფრო მეტიც ყველა დასახელებული ტენდერი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის საგანს, რომლის ჩატარების და კონტროლის უზრუნველყოფასაც ახდენს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო. ბრალდების გასაქარწყლებლად თუ რატომ იყო უნისონი ტენდერში მხოლოდ ერთი პრეტენდენტი არაა ,,უნისონის" მტკიცების ტვირთი, პირიქით შემდავებელმა უნდა ამტკიცოს რომ სწორედ ირიბი შეთანხმების გამო იყო უნისონი მხოლოდ ერთი პრეტენდენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში დაუშვებელია მაყურებელთა განზრახ შეცდომაში შეყვანა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ შელახო კომპანიის საქმიანი რეპუტაცია.

   განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რომ ,,ფლანგვ ის დეტექტორს" საზოგადოებისთვის გასაგებად ხაზგასმით ის მაინც აღენიშნა რომ 30 მილიონი ლარის ოდენობით პრემიის მოზიდვა ფინანსურ მოგებას კი არ ნიშნავს არამედ 30 მილიონის სანაცვლოდ მზღვეველს გადმოეცა 1 მილიარდამდე რისკის ქვეშ დგომის პასუხისმგებლობა და რაც საერთოდ აცდენილი და არასწორი აღქმაა, ვიდრე ფინანსური მოგება. ამდენად დგინდება რომ თავად ციფრის გამოცხადება განმარტების გარეშე ტელეკომპანიის მიერ იყო ერთგვარი სიმულაცია ემოქმედა მაყურებელზე რაც დაუშვებელია.

4. არცერთ დასახელებულ ტენდერში მისი ჩატარების სპეციფიკურობიდან გამომდინარე (სახელმწიფო შესყიდვებს დაქვემდებარებული ელექტრონული ვაჭრობა) ტენდერის დასრულებამდე უცნობია მონაწილე პრეტენდენტთა ვინაობა და ცნობილი ხდება მხოლოდ ტენდერის დასრულების შემდეგ, ამდენად შეუძლებელია კონკურენტთან გარიგება, ფასის შეთანხმება და მითუმეტეს ამ ურთიერთგამომრიცხავი გარემოებისა რაც უკვე აღვნიშნეთ, სპეციალურად გადავამოწმეთ დასახელებული ტენდერები და ,,ქართუ" როგორც პრეტენდენტი ვაჭრობაშიც კი არ იღებს მონაწილეობას. აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ მთავარი არხი არის ტენდენციური, დაუდგენელია რა მიზანს ემსახურება ზემოაღნიშნული სიუჟეტი და გვაფიქრებინებს, რომ წინასაარჩევნოდ ბინძური პროპაგანდის მსხვერპლი აღმოვჩნდით, რომელშიც უნისონი არცერთ საარჩევნო ეტაპზე არ ყოფილა და არ იქნება ჩართული. ურო მეტიც, დაუშვებლად მიგვაჩნია კერძო ბიზნესის მსგავსი არაჯანსაღი მეთოდებით ვიწრო პოლიტიკურ ძალებთან მერკანტილური ინტერესებით დაკავშირება. ვგმობთ აღნიშნულს და გთხოვთ რეაგირებას. ამდენად დადასტურებულია რომ დარღვეულია პრინციპი 1, რომლის თანახმადაც ჟურნალისტი ვალდებულია გადაამოწმოს მის მიერ გასაჟღერებელი ინფორმაცია, რაც არ განხორციელებულა. ასევე დარღვეულია პრინციპი 11, რომლის თანახმადაც ,,ჟურნალისტმა უმძიმეს პროფესიულ დანაშაულად უნდა მიიჩნიოს შემდეგი ქმედებები: ფაქტის განზრახ დამახინჯება", განსახიულველ შემთხვევასი კი უდაოა არასწორი ინფორმაცია გაავრცელდა განზრახ პოლიტიკური მოტივით, შესაბამისად გთხოვთ დაადგინოთ რომ ტელეკომპანია ,,მთავარის" მიერ

დარღვეულია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის 1-ლი და მე-11 პრინციპები, 2020 წლის 21 ოქტომბერს დილის 11.00 საათზე ,,მთავარის“ ეთერში გასული სიუჟეტში სს ,,სადაზღვევო კომპანია უნისონის“ ნაწილში.